# ახალგაზრდული რეფლექსი

## თბილისი 2017წ.

პროექტი ახალგზრდული რეფლექსი განხორციელდა 2016 წლის 15 დეკემბრიდან 2017 წლის 15 დეკემბრამდე ა(ა)იპ „კავკასიის ახალგაზრდული კავშირის" მიერ, ფონდი "ღია საზოგადოება საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით.

**პროექტის მიზანია:** მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ახალგაზრდული პრობლემების კვლევა, ანალიზი და საკითხის სისტემურ ჩარჩოში მოქცევა, რომელსაც შესაბამისი რეაგირება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში ახალგაზრდების ჩართულობა მოყვა.

პროექტის მიზნებისთვის ტერმინ „მართლმსაჯულების" ქვეშ მოიაზრებოდა ორი კომპონენტი - (1) დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული საკითხები; (2) სამართალდამცველებთან და სასამართლოსთან ურთიერთობის საკითხები;

**პროექტის ამოცანები:**

- შერჩეულ 5 რეგიონსა და თბილისში სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ახალგაზრდების პრობლემების კვლევა, მეპინგი და ანალიზი.
- მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზება.
- რეგიონებში ახალგაზრდული ჯგუფების გაძლიერება, არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად ახალგაზრდული აქტივიზმის და ადვოკატირების ხელშეწყობა.

კავკასიის ახალგაზრდული კავშირისა და "ACT Global"-ის მიერ გაწეული თანამშრომლობის საშუალებით მოხდა ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირება სხვადასხვა მიმართულებით.

**კვლევა პროცესი და შედეგები:**

**კვლევის მეთოდოლოგია:**

სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფები

სულ ჩატარდა:

სიღრმისეული ინტერვიუ - 8

ფოკუს ჯგუფი - 12

**კვლევის არეალი**

1.სამცხე ჯავახეთი, 2. შიდა ქართლი, 3.ქვემო ქართლი, 4.მცხეთა მთიანეთი, 5.კახეთი, 6.თბილისი




**კვლევის ამოცანები:**

- მოზარდის კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე ზემომქმედი ფაქტორების შესწავლა;
- ახალგაზრდების სამართალდარღვევასთან / დანაშაულთან მიმართებაში ზოგადი ინფორმირებულობის შესწავლა;
- ახალგაზრდების სამართალდამცავი უწყებების მიმართ დამოკიდებულება;
- ახალგაზრდების სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება;
- ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება;

**კვლევის ძირითადი შედეგები და აღმოჩენები:**

**სამართალდამცავებთან ურთიერთობა**

- ახალგაზრდების მოსაზრებით, სამართალდამცავთა ნაწილი ,,აკეთებს იმას, რასაც მოქალაქეებს უკრძალავენ;
- განათლების დონე დაბალია, როგორც სამართალდამცავებში, ასევე ახალგაზრდებში;
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები უმეტესად არიან უხეშები, ყოველგვარი მიზეზის გარეშე აჩერებენ ახალგაზრდებს, ემუქრებიან და აყენებენ სიტყვიერ შეურაცყოფას.
- ძალიან მცირე ნაწილი საუბრობდა იმაზე, რომ პოლიციელები კანონს არ ცდებიან;

**სასამართლოსადმი დამოკიდებულება:**

- ფჯ-ისას გამოთქმული მოსაზრებები ცხადყოფს ახალგაზრდების უნდობლობას სასამართლოსადმი;
- გარკვეული ნაწილი დადებითად არის განწყობილი სასამართლო სისტემის მიმართ და მათთვის სასამართლო სამართლიანობასთან ასოცირდება;
- რესპონდენტთა დიდი ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხს;
- რესპონდენტები იმაზეც მიუთითებენ, რომ ხშირად სასამართლო გამოხატავს ხელისუფლების ინტერესებს და არა საზოგადოების.

**ახალგაზრდული პრობლემები რეგიონებში:**

- ყველა რეგიონში თანაბრად მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა.
- რეგიონებში არსებული ინფორმაციული ვაკუუმი.
- ეკოლოგიური პრობლემები.
- რეგიონებში გასართობი ადგილების დეფიციტი.
- ქართული ენის არცოდნა, ენობრივი ბარიერის არსებობა.
- საზოგადოების გახლეჩვა.
- ალკოჰოლიზმი, ლუდომანია, ნარკოტიკების მოხმარება, აგრესიული გარემო.
- ქალთა ნაკლები ჩართულობა სამოქალაქო აქტივიზმში რეგიონებში გავრცელებული სტერეოტიპული წარმოდგენების გამო.
- თვითრიალიზაციისათვის შეუსაბამო გარემო.

- არაფორმალური განათლების არარსებობა.
- მიგრაცია სოფლებიდან დიდ ქალაქებში.
- ახალგაზრდების ნაწილი არსებულ პრობლემებში სახელმწიფოს, ხელისუფლებას ადანაშაულებს, ნაწილი კი თავად საზოგადოებას.

აღნიშნული კვლევა ხელმისაწვდომია ჩვენი ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. ამასთან კვლევა გადაეგზავნათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ყოფილ სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, განათლების და მეცნიერების საქმეთა სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს.

### საინფორმაციო პოსტერი/ინფო-გრაფიკი

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ვიზუალიზაციისა და გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად შეიქმნა საინფორმაციო პოსტერი, რომელიც დაურიგდათ ახალგაზრდებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საჯარო სოლებს და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებს.



## ტრენინგები აღმოსავლეთ საქართველოში ახალგაზრდულ აქტივიზმსა და ადვოკატირებაზე

კვლევის დასრულების შემდგეგ, პროექტის მეორე ეტაპზე დაიწყო ტრენინგები და მიღებული შედეგების პრეზენტაციები ახალგაზრდებთან, ასევე ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებთან. სულ ჩატარდა 12 შეხვედრა და ტრენინგი. ტრენინგების თემატიკა იყო: ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება, ახალგაზრდული აქტივიზმი და ადვოკატირება, ახალგაზრდების როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

ახალგაზრდული ტრენინგები მოეწყო აღნიშნულ ქალაქებსა და რეგიონებში:

თბილისი, რუსთავი, მცხეთა, თელავი, გურჯაანი, შილდა, მარნეული, თეთრიწყარო, ბაკურიანი, ახალციხე, ხაშური.

*ტრენინგი თეთრწყაროში*



*ტრენინგი რუსთავში*



”ახალგაზრდული რეფლექსის“ ფარგლებში ტრენინგის პირდაპირი ბენეფიციარი იყო 300 მდე ახალგაზრდა, ჯამში გაიმართა 12 სატრენინგო სესია, სადაც საშუალოდ 25 ახალგაზრდა ესწრებოდა აღნიშნულ აქტივობას, გამონაკლისი იყო რუსთავი და მარნეული სადაც ადგილობრივ თვითმართველობასთან თანამშრომლობით და ჩართულობით 50-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ტრენინგის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცა პროექტის სერტიფიკატი.

**პროექტის შედეგების პრეზენტაცია და გავრცელება**

პუბლიკაციები ჩვენს ვებ-საიტზე:

- ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა მართლმსაჯულების, სასამართლოს და სამართალდამცავების მიმართ - http://caynex.ge/ka/ახალგაზრდების-დამოკიდებ/
- საინფორმაციო პოსტერი/ინფო გრაფიკი შექმნილი „ახალგაზრდული რეფლექსის" ფარგლებში - http://caynex.ge/ka/საინფორმაციო-პოსტერი-შექ/

პროექტის გაცნობა სამინისტროებისთვის:

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- შინაგან საქმეთა სამინისტრო

**პარტნიორი ორგანიზაციები:**

1. ა(ა)იპ „გერგარტი" (ყაზბეგი);
2. ა(ა)იპ „ტოლერანტი" (ახალციხე);
3. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახალქალაქის ახალგაზრდული იდეა";
4. ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივა" (წნორი);
5. სსიპ „რუსთავის ახალგაზრდობის ცენტრი";
6. ა(ა)იპ თეთრიწყაროს ახალგაზრდულ ცენტრი;
7. ხაშური: 1. ა(ა)იპ „ახალი თაობა რეგიონალური განვითარებისთვის", 2. ა(ა)იპ „ხაშურის ამერიკული კუთხე";
8. „შიდა ქართლის სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია";
9. „დემოკრატ მესხთა კავშირი";
10. ა(ა)იპ „მომავლის სოფელი" მცხეთის რაიონი, სოფელი ნავაზი;
11. საგარეჯოს, მარნეულისა და რუსთავის, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები;

**პარტნიორი ინსტიტუტები:**

1. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
2. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა;
4. ხაშურის მჟორიტარი დეპუტატის ბიურო;
5. ხაშურის ეროვნული ბიბლიოთეკა;
6. მარნეული მუნიციპალიტეტის გამგეობა;

7. რუსთავის მერია;

**ააიპ „კავკასიის ახალგაზრდული კავშირი“ მადლობას უხდის „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ პროექტის მხარდაჭერისთვის.**